თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 07

26 ივნისი 2023 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 30 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი;**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**ლევან ბერძენაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარ ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, ეკატერინე ონიკაძე, გიორგი ქართლელიშვილი, მარიამ ლილუაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, ივანე დალაქიშვილი, ნატალია ბახსოლიანი, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი,** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ფიქრია ყუშიტაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **თამარ ზაზანაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი **დიმიტრი ზაქაიძე;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **თედო ხოსროშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული სამსახურის უფროსი **ანა ფეიქრიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **მაია დათუნაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურის და ძეგლთა დაცვის სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი **ლია ალადაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქეები: მაკა მოსიაშვილი, არჩილ მჭედლიშვილი.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგი.

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხ. ნ.მეტრეველი
თანამომხს. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი

12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხ. ფ.ყუშიტაშვილი

თანამომხს. მ.დათუნაშვილი

12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხ. ფ.ყუშიტაშვილი

მომხს. მ.დათუნაშვილი

12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხ. ნ.მეტრეველი

თანამომხს. თ.ხოსროშვილი

12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხ. ნ.მეტრეველი

თანამომხს. ზ.სახიაშვილი

13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხ. ნ.მეტრეველი

თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი

13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

8. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

მომხს. ნ.მეტრეველი

თანამომხს. ა.ფეიქრიშვილი

13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

ვინაიდან ობიექტური მიზეზების გამო სხდომას არ დაესწრებოდნენ **ნ.მეტრეველი** და **ზ.სახიაშვილი,** პროექტები სხდომას წარუდგინეს **ნ.ვაყელიშვილმა** და **დ.ზაქაიძემ.**

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
12.00სთ-დან-12.20სთ-მდე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა, წინა წლებში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებიდან დარჩენილი ნაშთიდან, რომელიც უნდა აისახოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, აღნიშნული საკითხი არ იყო წარმოდგენილი პროექტში, რადგან მთავრობის განკარგულება გამოიცა საკრებულოს ბიუროს სხდომის შემდგომ.

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** დასვა კითხვა სახელმწიფო დროშის მონტაჟისათვის დამატებითი თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით, რაზეც განმარტებები გააკეთა თ.ხოსროშვილმა.

დაადგინეს: მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით **დამტკიცდეს** **წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი** **დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **28 (ოცდარვა)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02 (ორი) წევრმა: ნ.ბახსოლიანმა, ზ.გრიშიკაშვილმა.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე" - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხ. ნ.ვაყელიშვილი
12.20სთ-დან-12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** აღნიშნა, რომ აუცილებელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიყოს თანხა სოფელ კურდღელაურში მინი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი** **დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **25(ოცდახუთი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 05 (ხუთი) წევრმა: ნ.ომანიძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა, ზ.გრიშიკაშვილმა.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხ. ფ.ყუშიტაშვილი
თანამომხს. მ.დათუნაშვილი
12.30სთ-დან-12.40სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა კულტურულ ინიციატივებთან დაკავშირებით, რაზეც მომხსენებლისაგან მიიღო განმარტებები.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22დეკემბრის N21 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხ. ფ.ყუშიტაშვილი
მომხს. მ.დათუნაშვილი
12.40სთ-დან-12.50სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 27 (ოცდაშვიდი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03(სამი) წევრმა: ნ.ბახსოლიანმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ი.დალაქიშვილმა.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023წლის 27 თებერვლის N10 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. თ.ხოსროშვილი
12.50სთ-დან-13.00სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **გ.გიგიტელაშვილმა** აღნიშნა, რომ არ უნდა ხდებოდეს შერჩეული პროექტების შეცვლა და პროექტები უნდა განხორციელდეს ხარისხიანად, როგორც აუდიტის დასკვნაში ჩანს შეინიშნება გარკვეული ხარვეზები.

დ.ღაღანიძემ განმარტებები გააკეთა სოფლის მხარდაჭრის პროგრამის ფარგლებში განხორციელების პროცედურებთნ დაკავშირებით.

ა.მახარიაშვილმა დასვა კითხვა სოფელ ნაფარეულში განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით.

გ.გიგიტელაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ გასულ წელს სოფელ კურდღელაურის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა სატრენაჟორო დარბაზის მოწყობას დახურულ სივრცეში, თუმცა ტრენაჟორები მოეწყო ღია სივრცეში.

დ.ღაღანიძემ ისაუბრა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შერჩევის პროცედურასთან დაკავშირებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **24 (ოცდაოთხი)** წევრმა.

წინააღმდეგი 04(ოთხი) წევრი: ა.კუპატაძე, ზ.გრიშიკაშვილი, ა.მახარიაშვილი, გ.გიგიტელაშვილი.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 02(ორი) წევრმა: ბ.გულიაშვილმა, ნ.ბახსოლიანმა.

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს. დ.ზაქაიძე
13.00სთ-დან-13.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **თ.ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიამ მხარი დაუჭირა თანამედროვე სტანდატების სკოლის წინადადებას.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №11 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.10სთ-დან-13.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს</u>: **ბ.გულიაშვილმა** დასვა კითხვა მოქალაქეთა რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით.

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ გარკვეული საკითხები განხილული უნდა იყოს შესაბამის სფეროში თემატიური მოკვლევის ჯგუფის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ.

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **22(ოცდაორი)** წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 08(რვა) წევრმა: გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ნ.ომანიძემ, ა.კუპატაძმ, რ.ჩეკურიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ნ.ბახსოლიანმა.

8.მოისმინეს: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N03 დადგენილებაში თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“.

მომხს. ა.ფეიქრიშვილი
13.20სთ-დან-13.30სთ-მდე

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

მოქალაქე **მ.მოსიაშვილმა** ისაუბრა კულტურისა და დასვენების პარკ ნადიკვარზე არსებული მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის შედგომ ვერ მოხერხდა სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება.

საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზი მთვარელიშვილი